ოქმი:**ო02. 3723076001**

თარიღი:**17/03/2023**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2023 წელი, 16 მარტი

ქ.ოზურგეთი

12.00-12.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი. ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, ალ. ბურჭულაძე, დ. ჭაკნელიძე, გ. შილაკაძე, ბ. ქათამაძე, ტ. აროშიძე, გ. სირაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ქალაქ ოზურგეთის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების დაწყების მიზნით მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის(შეთანხმების)შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

2 .ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2022 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ.
მომხსენებელი: ბ. თოიძე
თანამომხსენებელი: დ. გორდელაძე

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული განკარგულების პროექტი, ისაუბრა ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის შემუშავების მნიშვნელობაზე, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

მომხსენებელმა, ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2022 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების შესახებ, ვრცელი ინფორმაცია კი გააკეთა თანამომხსენებელმა დ. გორდელაძემ, ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდეგ საკრებულოს სხდომებზე განსახილველად წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი N 1 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების , ხოლო N 2 საკითხი განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი